

## როგორ დავიწყეთ ...?


გიორგი მაღლაფერიძე

ნებისმიერი ტიპის საწარმოსთვის, მიუხედავად იმისა, ორიენტირებულია მოგებაზე (კომერციული საწარმო) თუ სოციალურ ცვლილებებზე (სოციალური საწარმო), არსებობს წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

**სამეწარმეო შესაძლებლობები ჩნდება, როდესაც ადამიანებს ან ორგანიზაციებს აქვთ პრობლემები, სატკივარი ან დაუკმაყოფილებელი საჭიროებები, რომელთა მოგვარება შესაძლებელია ინოვაციური, არასტანდარტული ან ნოვატორული გადაწყვეტილებებით.**

### **ობიექტური პრობლემა:**

ანუ პირველი აუცილებელი პირობაა პრობლემის არსებობა, პრობლემის, რომლის გადაწყვეტაში ადამიანები მზად არიან გადაიხადონ ფული. შესაბამისად პრობლემა ობიექტურად უნდა არსებობდეს და ის, რომ ჩვენ ასე გადავწყვიტეთ საკმარისი არ არის. კომერციული საწარმოსთვის ეს არის შესაძლებლობა. რაც უფრო დიდია პრობლემა მით უფრო დიდია კომერციული სარგებლის მიღების შესაძლებლობა.



სოციალური საწარმოს შემთხვევაში, ერთი მხრივ, გვჭირდება შემოსავალი ჩვენი საწარმოსთვის და შესაბამისად ჩვენს მიერ გენერირებული ცვლილებების მდგრადობისათვის, ესაა **გადამხდელთა პრობლემა**, მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს პრობლემა, რომლის შემსუბუქებასაც ემსახურება ჩვენი საწარმოს არსებობა, **ბენეფიციარების პრობლემა**. ეს ორი პრობლემა ზოგ შემთხვევაში განსხვავებული, ზოგში კი ერთია. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში სხვადასხვაა სოციალური საწარმოს გადამხდელები და ბენეფიციარები, ხან ერთიდაიგივე (იხ. ბლოგი სოციალური საწარმოს კანვასი).

#### ინოვაციური იდეა:


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეწარმეები პრობლემებს აგვარებენ ინოვაციური, არასტანდარტული ან ნოვატორული გადაწყვეტილებებით. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ თემას თუ როგორ დავაგენერიროთ იდეა.

## გარე და შიდა რესურსი:

თქვენ შეიძლება გქონდეთ ფანტასტიური იდეა, რომელიც ეფექტურად აგვარებს მომხმარებელთა პრობლემას, მაგრამ აუცილებლად დაგჭირდებათ შესაბამისი რესურსები.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს სამი პირობა, ერთი მხრივ, არის აუცილებელი პირობა, ანუ მათი შესრულების გარეშე საწარმო ვერ შედგება და მეორე მხრივ, არის საკმარისი პირობა იმისათვის რომ საწარმო იყოს წარმატებული (დანარჩენი უკვე ჩვენს ხელშია და ჩვენზეა დამოკიდებული).

ასე მივიღეთ გ.ი.ო სამკუთხედი:



**გ** გარე და შიდა რესურსი  
თქვენი უნარები, ცოდნა, გამოცდილება, ასევე ის რესურსი რომელიც თქვენს განკარგულებაშია ან ხელმისაწვდომია თქვენთვის

**ი** ინოვაციური იდეა  
სრულიად ახლის (სერვისი ან პროდუქტი) შექმნა/მოგონება ან არსებულის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება

**ო** ობიექტური პრობლემა  
პრობლემა არაა პრობლემა მხოლოდ იმიტომ რომ თქვენ ესე თვლით, ის უნდა იყოს ობიექტურად დადასტურებული

დავუბრუნდეთ იდეას და განვიხილოთ ის ექვსი წყარო, რომელიც იდეის გენერირებაში მოგვეხმარება.

### **პრობლემა:**

ისევ და ისევ პრობლემა! მიმოიხედეთ ირგვლივ, დაელაპარაკეთ თქვენს მეგობრებს, ნაცნობებს, მეზობლებს, გამოიყენეთ სოციალური მედია და გაარკვიეთ რა აწუხებთ ადამიანებს თქვენს თემში, რა მოთხოვნილებები აქვთ და რამდენად არიან მზად ამ პრობლემების მოგვარებაში ფული გადაიხადონ. თუ მაგალითად შემწვარი სოსისის ჭამისას ადამიანებს თითები ეწვებათ, შეგვიძლია მათ შევთავაზოთ სოსისის შესაფერისი ფორმის პურში ჩადება, თუმცა ეს ჯერ კიდევ 1904 წელს მოიფიქრეს და ასე გაჩნდა ჰოთ-დოგი.

### **უნარები (შიდა რესურსი):**

რა უნარებს ფლობთ, რისი კეთება გამოგდით კარგად? ყველა ადამიანი უნიკალური უნარების მატარებელია და ხშირად ამას სულაც არ ვაქცევთ ყურადღებას. თუ აღმოაჩენთ, რომ თქვენი მეგობრები ხშირად გთხოვენ დაუწნათ თმა, იქნებ გეფიქრათ პატარა სალონის გაკეთებაზე.

### **გარე რესურსი:**

რა გარე რესურსია თქვენთვის ხელმისაწვდომი? ეს შეიძლება იყოს ფინანსური რესურსი, მატერიალური, ასევე არამატერიალური, მაგალითად თუ თქვენ ბევრი მეგობარი გყავთ ეს უკვე მნიშვნელოვანი რესურსია. ბიძათქვენის ნაჩუქარი ძველი ავტობუსი შეიძლება ძალიან კარგი იდეის ინსპირატორი გახდეს. მე ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკას მოვაწყობდი, თქვენ?



### გამოცდილება:

ძალიან ბევრი წარმატებული მეწარმე თავიდან მსხვილ კომპანიაში მუშაობდა და იქ მიღებული გამოცდილებით გადაწყვიტა საკუთარი საწარმო გაეხსნა. სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას ასაკობრივი შეზღუდვა არ აქვს, არასოდეს არ არის გვიან! თუ თქვენ ახალგაზრდა და შესაბამისად გამოუცდელი ხართ, დააკვირდით თქვენი ოჯახის წევრების გამოცდილებას. თუ მაგალითად თქვენი მშობლები კარგი ბუღალტრები არიან, იქნებ გვეფიქრა დისტანციური, არაკონტაქტური საბუღალტრო მომსახურების შესახებ.

### ტექნოლოგიები:

ახალი ტექნოლოგიები არაჩვეულებრივ იდეებს შობს. ზოგადად ცვლილებები მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ ტექნოლოგიური. მაგალითად, რამდენ საწარმოს დაუდო დასაბამი 3D პრინტერის გამოგონებამ?! სამყარო მუდმივად იცვლება და ეს ცვლილებები მეწარმისთვის იდეების ოქროს საბადოა.

### ინტერნეტი:

და ბოლოს „სხვათა აზრები“. მსოფლიო ქსელში უამრავი იდეა დევს, ზოგი განხორციელებული და ზოგიც კონცეფციის დონეზე. არანაირად სათაკილო არაა სხვა ადამიანების აზრების გაცნობა და მათი თქვენი თემის რეალობაზე მორგება. აქ საუბარი არაა კოპირებაზე ან ფრანჩიზზე, არამედ მსგავსის გაკეთებაზე ოღონდ იმდენად განსხვავებულის რამდენადაც თქვენი სამოქმედო არეალი არის განსხვავებული.

როგორც ხედავთ იდეების ინსპირირება ბევრი სხვადასხვა წყაროდან შეიძლება, ახლა მთავარია იმოქმედოთ.

„მთავარი ის კი არ არის გჯეროდეს, რომ ყველაფერი გექნება, არამედ დაინახო რომ ყველაფერი გაქვს!“

#გიოსფიქრებიდან